საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მინერალური რესურსები

მინერალური რესურსები, დედამიწაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგი. ადამიანმა ჯერ კიდევ უძველეს დროში ისწავლა სასარგებლო წიაღისეულის გამოყენება, რაც აისახა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების პერიოდების სახელწოდებებში – ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა. მ. რ. განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი დარგების განვითარებას. საქართვ. რელიეფის რთულმა გეოლ. აგებულებამ განაპირობა მ. რ-ის მრავალფეროვნება, რაც უკავშირდება განსხვავებული გენეზისის ქანებს და გავრცელებულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. საქართვ. ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილია მრავალი სახის სასარგებლო წიაღისეულის საბადო. საქართველოში გავრცელებული წიაღისეულიდან საწარმოო დანიშნულებით გამოირჩევა სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, შავი და ფერადი ლითონები, სამთო-ქიმ. ნედლეული, საშენი მასალები და მინერ. წყლები.